განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს ალტე უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

11 მარტი

დასკვნის წარდგენის თარიღი

27 აპრილი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ალტე უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	202192643
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ტურიზმის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 8 ნოემბრის N643 გადაწყვეტილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	ეკა დევიძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია , შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ გორგოძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შესაფასებლად წარმოდგენილი "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ტურიზმის ბაკალავრი, 1015) მოიცავს 240 ECTS კრედიტს.

შპს ალტე უნივერსიტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის მოცულობა არის 240 კრედიტი და მოიცავს 8 სემესტრს. პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია: 1. სავალდებულო კომპონენტები - ინგლისური ენის, საბაზისო სასწავლო კურსების, ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების, პრაქტიკის და სასწავლო-კვლევითი ბლოკები და 2. არჩევითი კომპონენტები - ბლოკი 1 მასპინძლობა, ბლოკი 2 მოგზაურობა და ბლოკი 3 თავისუფალი სასწავლო კურსები.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა დისტანციურად Zoom-ის პლატფორმის საშუალებით, 2022 წლის 11 მარტს. შეფასებამდე, ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დაორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს.

დისტანციური შეფასება დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ვიზიტის განმავლობაში უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ დისტანციური რეჟიმის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1, 1.2, 2.3, 3.1, 4.1, 5.3 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, 2.2 ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, ხოლო დანარჩენი კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტებთან. გამომდინარე აქედან პირველი, მეორე, მესამე, სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო მეოთხე და მეხუტე სტანდარტიშესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდირებულია დაიხვეწოს ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მიზანი და მეტად მოვიდეს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და გათვალისწინებულ იქნეს სწავლების საფეხური.
2. რეკომენდირებულია პროგრამის სახელწოდების დახვეწა ისე, რომ განსხვავდებოდეს სხვა სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან.
3. რეკომენდირებულია ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამისათვის სწავლის შედეგების მექანიზმის დახვეწა და გაუმჯობესება;
4. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის მიზნის შესაბამისობაში მოყვანა სწავლის შედეგებთან;
5. რეკომენდებულია გადაისინჯოს/ჩასწორდეს სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები (ტურიზმის პოლიტიკა, ტურიზმის სტატისტიკა, ტურისტული პროდუქტები და ტრენდები, ღონისძიებების დაგეგმვა და პროექტების მართვა ტურიზმში)
6. რეკომენდებულია ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების მოდულს დაემატოს ტურიზმის მიმართულების საგნები, ასევე სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან ,,ტუროპერეიტინგი, გეო-ინფორმაციული ტექნოლოგიები

ტურიზმში, აგროტურიზმი” წარმოდგენილი იყოს, როგორც სავალდებულო და არა არჩევითი კომპონენტი რათა პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მეტად იყოს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და გათვალისწინებულ იქნეს ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის მოთხოვნები.

7. რეკომენდირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსების ძირითადი/სავალდებულო ლიტერატურის ველში მიეთითოს დარგის თანამედროვე სახელმძღვანელოები;
8. რეკომენდირებულია 4 კრედიტიანი სასწავლო კურსის: ,,ღონისძიებების დაგეგმვა და პროექტების მართვა” წარმოდგენილ იქნას ცალკეულ საგნებად - ღონისძიებების მენეჯმენტი და პროექტის მენეჯმენტი სწავლის შედეგის უფრო უკეთ ფორმულირებისთვის.
9. რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის მიზნის ,,ტურიზმის სფეროში ბაკალავრიატის სტუდენტმა შეძლოს კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით, კვლევითი მუშაობის განხორციელება და მისი შედეგების წერილობითი წარმოდგენა და დაცვა" მიღწევის უზრუნველსაყოფად, დაიხვეწოს საბაკალვრო ნაშრომის სლბუსი.
10. რეკომენდირებულია გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში;
11. რეკომენდირებულია გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაცია და გაცვლითი პროგრამები;
12. რეკომენდებულია „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათელბლო პროგრამის ხელმძღვანელად მოიაზრებოდეს პირი, რომელსაც ექნება როგორც დარგის შესაბამისი აკადემიური გამოცდილება, ისე პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო უნარჩვევები.
13. რეკომენდირებულია უნივერსიტეტის მხრიდან უფრო დიდი ყურადღება დაეთმოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურებს. აღნიშნული დაიწეროს ერთიან დოკუმენტად, სადაც განისაზღვრება პერსონალის პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები;
14. რეკომენდებულია, სტუდენტთა მიერ სასწავლო პროცესის შეფასებისას, მოხდეს პროფესორ- მასწავლებლებისა და სასწავლო კურსის ცალ-ცალკე შეფასება.
15. რეკომენდირებულია საბაკლავრო ნაშრომების შესრულებაზე მონიტორინგის გაძლიერება მინიმალური სტანდარტების შესრულების მიზნით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია დაინტერესებული მხარეებისთვის დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით ინფორმაციის სრულყოფილად მიწოდების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაში და ვებ - გვერდზე კანონით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობებთან ერთად დამატებით აისახოს ინფორმაცია სავალდებულო საგნების/ენების შესახებ.
2. სასურველია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პროფესიით დასაქმებას.

3. საუნივერსიტეტო ფონდი, რომლის მიზანია ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და საგანმანათლებლო სივრცეში კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.
4. სასურველია გამოკითხვის ფორმების განახლება და საჭიროებებზე მორგება და ერთ გამოკითხვის ფორმაში მოქცევა.
5. სასურველია, გარე და შიდა შეფასებებით მოხდეს ნაკლოვანი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება. გამოხმაურებები უნდა იყოს უფრო დეტალური, სიღრმისეული და გვაძლევდეს ნათელ სურათს.
6. სასურველია, შრომის ბაზრის კვლევისას გამოიკვეთოს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა აღნიშნული კუთხით დასაქმების თაობაზე
7. სასურველია პერიოდულად განხორციელებული პროგრამის დადარება ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და წარმოდგენილი იყოს დამოუკიდებელი, ანალიზზე დაყრდნობით შედგენილი ანგარიშის სახით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ ადგილზე პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველყოფა: მოწყობილია სიმულაციური სივრცე შესაბამისი ინვენტარით.
  - საუნივერსიტეტო ფონდი, რომლის მიზანია ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და საგანმანათლებლო სივრცეში კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა შემდეგი რეკომენდაციის გაუქმება:

1. რეკომენდირებულია სწავლის შედეგების სრულყოფა, იმისათვის რათა მკაფიოდ ჩანდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის სფეროს სპეციფიკა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის, რომლის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ტურიზმის ბაკალავრი, მიზანია ,,მოამზადოს განვითარებაზე ორიენტირებული, ანტრეპრენორული და სისტემური აზროვნების მქონე გლობალურად კონკურენტუნარიანი ბაკალავრი, რომელიც აღჭურვილია მოგზაურობა, ტურიზმისა და დასვენების სფეროში მართვისათვის აუცილებელი, ტრანსფერაბელური ცოდნითა და უნარ - ჩვევებით, შეუძლია შექმნას და გააფართოვოს საკუთარი ან სხვისი ბიზნესი ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონტექსტში და ხელი შეუწყოს მდგრადი და ძლიერი ინდუსტრიის განვითარებას“. პროგრამის მიზანში მკაფიოდ არის წარმოჩენილი სამეწარმეო უნარის განვითარება ტურიზმისა და მოგზაურობის მიმართულებით, თუმცა მისანიჭებელი კვალიფიკაციით თუ ვიმსჯელებთ ძირითადი აქცენტი უნდა კეთდებოდეს ტურისტულ მიმართულებებზე, ღონისძიებებზე, რეკრეაციულ და დასვენების აქტივობებზე. გარდა ამისა, რამდენად შესაძლებელია პირველი საფეხურის სტუდენტმა შეძლოს საკუთარი ან სხვისი ბიზნესის განვითარება დამოუკიდებლად ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე და ხელი შეუწყოს მდგრადი და ძლიერი ინდუსტრიის განვითარებას. ამ მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მიზანი არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული. მიზნის ფორმულირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მიმართებით დარგის ისეთი მიმართულებები, როგორიცაა ტურისტული ღონისძიებები, რეკრეაცია დასვენება და ასევე გათავლისწინებულ უნდა იქნას ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტების შესაძლებლობები. გარდა ამისა, პროგრამის დასახელება არის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, რომელიც სწავლის სფეროს კლასიფიკატორში გვხდება შემდეგი კოდით 1019 (პერსონალური მომსახურებები – არაკლასიფიცირებული 1019.2.1 ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი), რომელიც მოცემულია მეორე სვეტში და რომელიც მიეკუთვნება მაგისტრატურის საფეხურის სწავლის სფეროებს. სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მე-6 მუხლის (კლასიფიკატორის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება) პირველ პუნქტში ვკითხულობთ, რომ 1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან. ხოლო მეორე პუქნტში ვკითხულობთ, რომ უმაღლესი

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსის, ამ სფეროს განვითარების ტენდენციების, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის სახელწოდება სულ სხვა სფეროს (1019 პერსონალური მომსახურებები – არაკლასიფიცირებული) მიეკუთვნება, ლოგიკური კავშირი პროგრამის დასახელებას, პროგრამის მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას (1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება) და პროგრამის შინაარს შორის არის სუსტი და საჭიროებს დახვეწას და გაუმჯობესებას, კერძოდ პროგრამის დასახელება უნდა შეიცვალოს იმისათვის რათა არ იყოს კავშირში სწავლის სფეროს კლასიფიკატორის რომელიმე სფეროსთან.

დაწესებულების მისიაა ,,სტუდენტებს მისცეს სრულფასოვანი ცოდნა და ყველა საჭირო უნარი, იმისათვის, რომ შექმნან დამატებითი, გრძელვადიანი ღირებულება, როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე იმ საზოგადოებისთვის, რომელშიც ისინი ცხოვრობენ“. მისიისა და მიზნის ანალიზიდან ჩანს, რომ მიზანი შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან.

პროგრამის მიზნის ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა შრომის ბაზრის კვლევა. კერძოდ დაწესებულებამ კვლევითი კომპანის დახმარებით შეისწავლა მასპინძლობისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულების ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციები და დაადგინა დამსაქმებლების პრეფერენციებისა და საჭიროებების ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში სხვადასხვა პოზიციებზე კადრის აყვანის დროს. პროგრამის მიზნის ანალიზიდან ჩანს, რომ გარკვეულწილად გათვალისწინებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგები.

დაწესებულების წარმომომადგენლებთან საუბრისას ირკვევა, რომ უსდ-ს გაჩნია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის ძირითად პრიორიტეტებად განისაზღვრა სტუდენტებისა და პერსონალის მობილობა, უცხოელი პროფესორების პროგრამაში ჩართვა, უცხოელი სპიკერების მოწვევა.

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა საჯაროდ ხელმისაწვდომია. იგი განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე. https://alte.edu.ge/ka/documents .

დაინტერესებულ მხარეებთან საუბრისას ირკვევა, რომ პროგრამაში ჩართული პირებთან ხდებოდა პროგრამის მიზნების განხილვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- დაწესებულების მისია: https://alte.edu.ge/ka/mission
- შრომის ბაზრის კვლევის შედეგები
- დაწესებულების ვებ გვერდი: https://alte.edu.ge/ka
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია დაიხვეწოს ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მიზანი და მეტად მოვიდეს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და გათვალისწინებულ იქნეს სწავლების საფეხური
- რეკომენდირებულია პროგრამის სახელწოდების დახვეწა ისე, რომ განსხვავდებოდეს სხვა სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამა წარმოდგენილია 8 სწავლის შედეგით. პირველი სწავლის შედეგი ეხება ტურიზმის სფეროში ბიზნესისა და ეკონომიკის გამოწვევებს. მეორე სწავლის შედეგი ეხება ტურისტულ საქმიანობაში პრობლემების იდენდიფიკაციას და რეკომენდაციების შემუშავებას. მესამე სწავლის შედეგის ფარგლებში სტუდენტი შეძლებს ტურისტული

პროდუქტების შექმნას სტანდარტული და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით. მეოთხე სწავლის შედეგი მიხედვით სტუდენტი შეძლებს შეაფასოს ტურისტული საქმიანობის შიდა და გარე გარემო, ამზადებს ორგანიზაციულ, მარკეტინგულ და ფინანსურ გეგმებს ტურისტულ საქმიანობაში. მეხუთე სწავლის შედეგი ემსახურება კომუნიკაციური უნარების ჩამოყალიბებას. მეექვსე სწავლის შედეგი ემსახურება გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას, მეშვიდე სწავლის შედეგის მიხედვით სტუდენტს უვითარდება ეთიკური და პასუხიმგებლობის უნარები. სწავლის შედეგების ანალიზიდან შემდეგი გარემობა იკვეთება: პირველი სუსტია კავშირი პროგრამის სწავლის მიზანსა და სწავლის შედეგებს შორის. როგორც უკვე აღვნიშნეთ პროგრამის მიზანში აქცენტი კეთდება ტურიზმში სამეწარმეო საქმიანობის და ბიზნესის დამოუკიდებლად წარმართვაზე. თუმცა, სწავლის შედეგებში სამეწარმეო უნარების და ბიზნესის წარმართვის ტექნოლოგიებზე არაფერია ნათქვამი. მეორე, სწავლის შედეგებში სრულყოფილად არ არის გამოკვეთილი მისანიჭებელი კვალიფიკაციის (მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება) სფეროს სპეციფიკა, კერძოდ ტურისტული მიმართულებებისა და ღონისძიებების მარკეტინგი და რეკლამირება; ბილეთებისა და დაჯავშნის საკითხები; ჯგუფებისა და ინდივიდების რეკრეაციული და დასვენების აქტივობები. ამგვარად, ზემოაღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე აუცილებელი ხდება პროგრამის მიზნების სრულყოფა და სწავლის შედეგებთან კავშირის გაძლიერება. მეორე სწავლის შედეგების სრულყოფა მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შემუშავდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების რუკას, სადაც ჩანს სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართება. სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართება არის ლოგიკური. თუმცა, სწავლის შედეგების რუკაზე არ ჩანს რა დონეზე (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება) ხდება ცალკეული სასწავლო კურსის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა, რომელიც თავის მხრივ გვეხმარება სწავლის შედეგების შეფასებაში. რაც შეეხება სწავლის შედეგების შეფასებას, დაწესებულებას აქვს შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია, თუმცა, აღნიშნული მეთოდოლოგია სრულყოფილად არ არის აპრობირებული ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამისათვის. კერძოდ აღნიშნული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით როგორ უნდა მოხდეს ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები;

პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგები, რომლებიც როგორც უკვე აღვნიშნეთ საჭიროებს დახვეწას, არის გაზომავდი, რეალური და მიღწევადი. მათი ფორმულირებისას გამოყენებულია აქტიური ზმნები. სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგები.
დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებიდან გამოვლინდა, რომ დაინტერესებული მხარეები ჩართულნი იყვნენ სწავლის შედეგების შემუშავებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმია და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ○ შრომის ბაზრის კვლევის შედეგები ○ დაწესებულების ვებ გვერდი: https://alte.edu.ge/ka ○ გასაუბრების შედეგები ○ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ○ დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამისათვის სწავლის შედეგების მექანიზმის დახვეწა და გაუმჯობესება; • რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის მიზნის შესაბამისობაში მოყვანა სწავლის შედეგებთან;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
„ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის/ინტერვიუს შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაზუსტდა, რომ ,,შპს ალტე უნივერსიტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესის შესაბამისად (სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის ბაკალავრიატის სწავლების საფეხურზე პირი ვალდებულია გაიაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად და აბიტურიენტთა ქულების რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე მოიპოვოს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლება).”, აღნიშნული პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებ - გვერდზე, თუმცა წარმოდგენილი ინფორმაცია უფრო ზოგადი ხასიათისაა და არ მიუთითებს კონკრეტულ წინაპირობებზე, სასურველია აუცილებელ პროცედურებთან ერთად საგანმანათლებლო პროგრამასა და ვებგვერდზე დაინტერესებული მხარეებისათვის აისახოს ინფორმაცია სავალდებულო საგნების / ენების (ჩამონათვალი) შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა ○ ტურიზმის და მასპინძლობის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ○ დაწესებულების ვებგვერდი ○ ინტერვიუს შედეგები (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

წარმომადგენელთან)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია დაინტერესებული მხარეებისთვის დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით ინფორმაციის სრულყოფილად მიწოდების მიზნით, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში და ვებ - გვერდზე კანონით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობებთან ერთად დამატებით აისახოს ინფორმაცია სავალდებულო საგნების/ენების შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის გამოყენებით (დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ 2022 წლის 12 იანვრის კრების ოქმით). შპს ალტე უნივერსიტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არის 240 კრედიტი და მოიცავს 8 სემესტრს. პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია: 1. სავალდებულო კომპონენტები -

ინგლისური ენის, საბაზისო სასწავლო კურსების, ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების, პრაქტიკის და სასწავლო-კვლევითი ბლოკები და 2. არჩევითი კომპონენტები - ბლოკი 1 მასპინძლობა, ბლოკი 2 მოგზაურობა და ბლოკი 3 თავისუფალი სასწავლო კურსები.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, ტირიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას.

პროგრამა მოიცავს როგორც ტურიზმის, ასევე ბიზნესის სფეროს სასწავლო კურსებს. ტურიზმის სფეროს სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობა დაახლოებით 65 კრედიტია სასწავლო პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ტურიზმის ბაკალავრი, ვფიქრობთ პროგრამის სტრუქტურა საჭიროებს შემდეგი მიმართულებით დახვეწას. კერძოდ, ვფიქრობთ ტურიზმის მიმართულების სასწავლო კურსების მოცულობა მინიმუმ 120 კრედიტი უნდა იყოს.

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობა საჭიროებს დახვეწას, მაგალითად: ღონისძიებების დაგეგმვა და პროექტების მართვა ტურიზმში შეთავაზებულია პირველი კურსის პირველ სემესტრში, ტურიზმის სტატისტიკა მეორე კურსის პირველ სემესტრში, კლიენტების მომსახურება და კრიზისის მართვა ტურიზმში მეორე კურსის პირველ სემესტრში, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები მესამე კურსის მეორე სემესტრში, პრაქტიკა მესამე კურსის მეორე სემესტრში. ასევე, არჩევით ბლოკში წარმოდგენილია ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც ძირითადი და სავალდებულო უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციისთვის - ,,ტურიზმის ბაკალავრი", კერძოდ: ,,ტუროპერეიტინგი, გეო-ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, აგროტურიზმი''. ამავდროულად დაშვების წინაპირობები არ არის განსაზღვრული შემდეგ საგნებზე: ტურიზმის პოლიტიკა, ტურიზმის სტატისტიკა, ტურისტული პროდუქტები და ტრენდები, ღონისძიებების დაგეგმვა და პროექტების მართვა ტურიზმში.
გარდა ამისა, საბაკალავრო ნაშრომის წარმატებულად მომზადების მიზნით ასევე ვფიქრობთ რომ პროგრამის სტრუქტურას უნდა დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: კვლევი მეთოდები და აკადემიური წერა.

დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ ისინი იცნობენ პროგრას და მის შემუშავებაში იყვნენ ჩართულები და გარკვეული წვლილიც აქვთ შეტანილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმისსა და მასპინძლობის საბაკალავრო პროგრამა,
- ტურიზმისსა და მასპინძლობის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი-სასწავლო გეგმა
- სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესი

- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაისინჯოს/ჩასწორდეს სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები (ტურიზმის პოლიტიკა, ტურიზმის სტატისტიკა, ტურისტული პროდუქტები და ტრენდები, ღონისძიებების დაგეგმვა და პროექტების მართვა ტურიზმში)
- რეკომენდებულია ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების მოდულს დაემატოს ტურიზმის მიმართულების საგნები, ასევე სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან ,,ტუროპერეიტინგი, გეო-ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, აგროტურიზმი" წარმოდგენილი იყოს, როგორც სავალდებულო და არა არჩევითი კომპონენტი რათა პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მეტად იყოს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და გათვალისწინებულ იქნეს ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის მოთხოვნები.
- რეკომენდირებულია, საბაკალავრო ნაშრომის სტანდარტების მიხედვით შესრულების მიზნით, ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების მოდულს დაემატოს აკადემიური წერის და კვლევის მეთოდების სასწავლო კურსები.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსები/საგნები: ,,ღონისძიებების დაგეგმვა და პროექტების მართვა ტურიზმში, ტურიზმის სტატისტიკა, კლიენტების მომსახურება და კრიზისის მართვა ტურიზმში, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, პრაქტიკა" ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს იერარქიული საფეხურების - მარტივიდან რთულისკენ პრინციპისა (სემესტრულად) და შესაბამისი წინაპირობების დაცვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ ადგილზე პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველყოფა: მოწყობილია სიმულაციური სივრცე შესაბამისი ინვენტარით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. მიუხედავდა იმისა, რომ ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს ვფიქრობთ აღნიშნული მიმართება უნდა დაიხვეწოს მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე.

მთლიანობაში თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. თუმცა, ისეთი სასწავლო კურსი როგორიცაა ,,ღონისძიებების დაგეგმვა და პროექტების მართვა ტურიზმში" წარმოდგენილია მხოლოდ 4 კრედიტითდა აერთიანებს ორ სხვადასხვა საგანს - ღონისძიებების მენეჯმენტი და პროექტების მენეჯმენტი.შესაბამისად, აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა არ შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსების სილაბუსებში-ლიტერატურაში მითითებული წყაროები, როგორიცაა საკონფერენციო მასალები და/ან სტრატეგიის დოკუმენტი ცხადია ასახავს დარგის/სფეროს აქტუალურ მიღწევებს და დასაშვებია წარმოდგენილი იქნას, როგორც დამხმარე წყარო/მასალა და არა როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები. ქართველი ავტორების ან ქართულად ნათარგმნი უცხოური წიგნების სიმწირიდან გამომდინარე სასწავლო კურსების ავტორების მიერ მომზადებულია ქართულენოვანი რიდერები, რაც ატვირთულია ბიბლიოთეკაში ელექტრონულ მატარებელზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის.

პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ,,საბაკალავრო ნაშრომი". საბაკალავრო ნაშრომების შემოწმებისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოება, კერძოდ

საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის მიხედვით საბაკალავრო ნაშრომის მიზანია კვლევის უნარების განვითარება. საბაკალავრო ნაშრომების შემოწმების შედეგად ვლინდება, რომ აღნიშნული სილაბუსი ნაკლებად ემსახურება საბაკალავრო ნაშრომის მიზნის მიღწევას. გამომდინარე აქედან ვფიქრობთ, რომ უნდა დაიხვეწოს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც მკაფიოდ იქნება გამოკვეთილი კვლევის განხორციელების პროცესის კომპონენტები ბაკალავრიატის დონეზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები (აკადემიური და მოწვეული პერსონალი)
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსების ძირითადი/სავალდებულო ლიტერატურის ველში მიეთითოს დარგის თანამედროვე სახელმძღვანელოები; • რეკომენდირებულია 4 კრედიტიანი სასწავლო კურსის: ,,ღონისძიებების დაგეგმვა და პროექტების მართვა" წარმოდგენილ იქნას ცალკეულ საგნებად - ღონისძიებების მენეჯმენტი და პროექტის მენეჯმენტი სწავლის შედეგის უფრო უკეთ ფორმულირებისთვის. • რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის მიზნის ,,ტურიზმის სფეროში ბაკალავრიატის სტუდენტმა შეძლოს კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით, კვლევითი მუშაობის განხორციელება და მისი შედეგების წერილობითი წარმოდგენა და დაცვა" მიღწევის უზრუნველსაყოფად, დაიხვეწოს საბაკალვრო ნაშრომის სლბუსი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის მოცულობის განსაზღვრა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
„ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას. როგორც სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა შპს. ალტე უნივერსიტეტი პარტნიორ დაწესებულებებთან ერთად ყოველწლიურად აწყობს კონფერენციას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. კონფერენციის მოხსენებები/ნაშრომები იბეჭდება უნივერსიტეტის ყოველწლიურ რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო შრომების კრებულში (ბეჭდური სახით გამოიცემა 8 წელია, ხოლო 2021 წლის ვერსია კი ექნება ელექტრონული სახე), რომელიც 2019 წლიდან ინდექსირებულია EBSCO-ს ბაზაში. პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით პროგრამის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს პრაქტიკა, რომელიც 6 კრედიტით არის განსაზრვრული. პრაქტიკას ეთმობა 121 საკონტაქტო საათი. პრაქტიკის კეთილსინდისიერ და სრულფასოვან განხორციელებას აკონტროლებს პრაქტიკის ხელმძღვანელი. ასევე პრაქტიკის განხორციელების პროცესში ობიექტზე ინიშნება მენტორი, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი, რომელიც ომელიც მოცემულ ობიექტზე უშუალოდ ზედამხედველობს და აფასებს კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ და სტუდენტის მიერ პრაქტიკის ფარგლებში მისი მითითებების შესაბამისად განხორციელებულ კონკრეტულ საქმიანობას. კალენდარული გეგმა მოცემულია დანართის სახით. სტუდენტი პრაქტიკის ადგილზე ჩარტულია პროფესიულ საქმიანობის განხორციელებით. ასრულებს საქმიანობას მისთვის გამოყოფილ სამუშაოთა მოცულობის ფარგლებში; - ანგარიშვალდებული იქნება ყოველდღიური საქმიანობის შესრულებისთვის სათანადო ხელმძღვანელ პირთან; შეაგროვებს და დაამუშავებს მასალას პრაქტიკის ანგარიშისთვის; პრაქტიკის დროს სტუდენტი იცავს მიმღები დაწესებულების შინაგანაწესს, უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმებს. სტუდენტი ყოველდღიურად აღწერს შესრულებულ სამუშაოს პრაქტიკის დღიურში და პრაქტიკის დასრულების შემდეგ, შეადგენს პრაქტიკის ანგარიშს, რომელსაც დაიცავს საჯაროდ. პრაქტიკის დღიური მოცემულია დანართი 3-ის

სახით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
„ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და კურსის შინაარსს. სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი მეთოდები და აქტივობები არის მრავალფეროვანი, როგორიცაა: ლექცია, სემინარი, ინტერაქციული ლექცია, გონებრივი იერიში, პრობლემაზე დაფუძნებული

სწავლება, შემთხვევის ანალიზი და ა.შ. პროგრამაში გათვალისწინებულია სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში, რაც აღინიშნა სტუდენტების მიერ ინტერვიუს პროცესში. შპს ალტე უნივერსიტეტს აქვს ადაპტირებული გარემო შშმ პირებისათვის. შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრინციპები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სილბუსები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით,

გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
შპს ალტე უნივერსიტეტი „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა შეფასება ხორციელდება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებისა და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებით დადგენილი პროცედურების მიხედვით. სასწავლო კომპონენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით: A) 91-100 ფრიადი (B) 81-90 ძალიან კარგი (C) 71-80 კარგი (D) 61-70 დამაკმაყოფილებელი (E) 51-60 საკმარისი (FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. ზემოხსენებული სისტემა ასახულია როგორც საბაკალავრო პროგრამაში, ისე სასწავლო კურსების სილაბუსებში. სტუდენტების შეფასება ხორციელდება წინასწარ დადგენილი პროცედურების მიხედვით. შეფასების კომპონენტები, ფორმები და მეთოდები განისაზღვრება სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით და გაწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ მათ აქვთ წვდომა სილაბუსებზე, შესაბამისად, სტუდენტებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების კომპონენტები, ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. ამასთან, სტუდენტებს სასწავლო კურსის დასაწყისში შეფასების სისტემაზე ინფორმაციას აწვდიან შესაბამისი კურსის ლექტორებიც. აქედან გამომდინარე, შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება. გასაჩივრების მექანიზმი და პროცედურები მოცემულია უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ,,გამოცდების ჩატარების დებულებაში“. აღნიშნული დოკუმენტი განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, შესაბამისად, საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. ,,გამოცდების ჩატარების დებულება“ აგრეთვე ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების პროცედურას. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი ნაკლებად ინფორმირებულნი არიან გასაჩივრების მოქმედი პროცედურებისა და მექანიზმის შესახებ. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით უნივერსიტეტს შეძენილი აქვს ანტიპლაგიატის სისტემა ,,ურკუნტი“, რომლის დახმარებითაც პლაგიატზე მოწმდება

საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები, აკადემიურ გამოცემებში გამოსაქვეყნებელი მასალა, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტების მიერ შესრულებული სხვადასხვა წერითი დავალება. აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ცნობილია მოქმედი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ მათი, როგორც შემფასებლების უნარების განვითარებისა და ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით ტარდება ტრენინგები. აკადემიური/მოწვეული პერსონალისაგან სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებისა და მათი გაუმჯობესების შესახებ. სწავლების ონლაინ ფორმატიდან გამომდინარე, სტუდენტებთან კონსულტაცია ძირითადად ხორციელდება ,,სასწავლო პროცესის მართვის სისტემის'' (emis), ელექტრონული ფოსტისა და სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებებით. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იღებენ დროულ რეაგირებას როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური/მოწვეული პერსონალის მხრიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • ,,გამოცდების ჩატარების დებულება" - https://alte.edu.ge/ka/documents; • ,,ალტე უნივერსიტეტის" ვებგვერდი - http://www.alte.edu.ge/; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტთა ინფორმირებულობა შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმსა და პროცედურებზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე იკვეთება, რომ „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამას აქვს სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციის გაწევისა და კარიერული განვითარების მხარდაჭერისათვის აუცილებელი

მექანიზმები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ელექტრონული პროგრამა - ,,სასწავლო პროცესის მართვის სისტემა“ (emis), რომლის დახმარებითაც სტუდენტები იღებენ აუცილებელ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკონტროლებენ აკადემიურ მოსწრებას, ირჩევენ არჩევით საგნებს, აქვთ კომუნიკაცია ადმინისტრაციულ და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესთან და უნივერსიტეტში მიმდინარე აქტივობებთან დაკავშირებით და ა.შ.

სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ ისინი როგორც აკადემიური/მოწვეული, ისე ადმინისტრაციული პერსონალისაგან კონსულტაციას ძირითადად ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით იღებენ (ელ.ფოსტა, ,,სასწავლო პროცესის მართვის სისტემა“ (emis), სატელეფონო გასაუბრება). სტუდენტთა განმარტებით, კომუნიკაციის ზემოხსენებული ფორმები იძლევა დროული პასუხების მიღების შესაძლებლობას, ამდენად, მათთვის კონსულტაციის მისაღებ და მოსახერხებელი საშუალებას წარმოადგენს.

სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით ფუნქციონირებს სკოლის მენეჯერისა და კოორდინატორის სერვისები. სკოლის მენეჯერი სტუდენტებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე უწევს კონსულტაციას, კოორდინატორი, თავის მხრივ, ორგანიზებას უწევს პირველკურსელებთან შეხვედრებს, ეხმარება მათ ახალ გარემოსთან ადაპტაციაში და სხვ.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონფერენციების, პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ნაკლებად არიან ჩართულნი ზემოაღნიშნულ ღონისძიებებში. დაბალია სტუდენტთა ჩართულობა კვლევით პროექტებშიც.
„ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამაზე ხორციელდება კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებები. სტუდენტები დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას ძირითადად იღებენ ,,სასწავლო პროცესის მართვის სისტემის“ (emis), ელ.ფოსტისა და სოციალური ქსელების დახმარებით. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დაწესებულებას დამსაქმებლებთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. მიუხედავად ამისა, როგორც სტუდენტებთან, ისე კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დასაქმების მაჩვენებელი ზოგადად დაბალია, განსაკუთრებით დაბალია პროფესიით დასაქმებულ სტუდენტა/კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი.
აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სტაჟირების სისტემა, რომელიც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ მათი ინტერესების შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვადასხვა ერთეულში.

სტუდენტთათვის საერთშორისო მობილობის შესაძლებლობების შექმნისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით ალტე უნივერსიტეტს უცხო ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმები. ამასთან, დაწესებულებას ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მოპოვებული აქვს Erasmus+ პროექტის გრანტები. როგორც თვითშეფასებისა და თანდართული დოკუმენტაციის, ისე ინტერვიუს შედეგების საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების მიერ საერთაშორისო მობილობით სარგებლობის უზრუნველსაყოფად, სასურველია გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაცია და გაცვლითი პროგრამები. უნივერსიტეტში აკადემიური წერის მხარდაჭერის მიზნით სტუდენტებისათვის იმართება საინფორმაციო შეხვედრები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ ღონისძიებაში სტუდენტები ნაკლებად არიან ჩართულნი. აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი იყენებს ანტიპლაგიატის სისტემა ,,ურკუნტს". სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სტუდენტები გამოკითხვის საშუალებით აფასებენ როგორც აკადემიურ პერსონალს, ისე უშუალოდ პროგრამას. აღსანიშნავია, რომ ტურიზმის 2022 წლის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებაში გათვალისწინებულ იქნა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შეფასებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის შეფასება სტუდენტების მიერ; ○ მემორანდუმები დამსაქმებლებთან; ○ მემორანდუმები უნივერსიტეტებთან; ○ ,,ალტე უნივერსიტეტის" ვებგვერდი - http://www.alte.edu.ge/; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში; • რეკომენდირებულია გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაცია და გაცვლითი პროგრამები;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პროფესიით დასაქმებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს

სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე,

სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
„ტურიზმისა და მასპინძლობის მენემენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირები - აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი სწავლა-სწავლების გარდა ჩართულები არიან სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში, როგორიცაა საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, საკონფერენციო თემის ხელმძღვანელობა, პრაქტიკული კომპონენტის მენტორობა და ა.შ. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა პროგრამის სტუდენტები დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია კი შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს, ინტერვიუს დროს სტუდენტებმა გამოთქვეს კმაყოფილება. ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის ჩანაწერის ,,ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამებს უნდა ახორციელებდეს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს ამ საგანმანათლებლო პროგრამისა და დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესრულებას” მიხედვით და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტი 4-ის შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, თუმცა, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე თანდართული დოკუმენტაციის (პერსონალთა პირადი საქმე, CV, სასწავლო კურსების სილაბუსები, პერსონალთა სამეცნიერო აქტივობების ჩამონათვალი) და ინტერვიუს შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ აკრედიტაციის სტანდარტი 4-ის და ტურიზმის უ/გ დარგობრივი მახასიათებლის პირობები ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული, აღსანიშნავია, რომ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი პრაქტიკოსია, დიდი პროფესიული გამოცდილებით, თუმცა მიზანშეწონილია აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელად მოიზრებოდეს პირი, რომელსაც გააჩნია აკადემიური გამოცდილება, აქვს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე; ○ სამეცნიერო აქტივობები ○ ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად მოიზრებოდეს პირი, რომელსაც ექნება როგორც დარგის შესაბამისი აკადემიური გამოცდილება, ისე პროგრამის შემუსავებისა და განხორციელებისთვის საჭირო უნარჩვევები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

შპს ალტე უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიაში პრიორიტეტული საკითხია პერსონალის პროფესიული განვითარება. უნივერსიტეტის მენეჯმენტი ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რაც აღინიშნა ადმინისტრაციის წევრებთან

ინტერვიუს დროს. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები. კერძოდ: ტრენინგები სილაბუსების შემუშავების, სწავლის შედეგებისა და მეთოდების საკითხებზე და ა.შ. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთა მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში უნივერსიტეტის მიერ ხდება საკონფერენციო მივლინების, სტატიის დაბეჭდვის დაფინანსება, რაც შემდეგ აისახება სამეცნიერო აქტივობებში.

დაწესებულებაში მოქმედებს საქმიანობის შეფასების პროცედურები, როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის. სემესტრის ბოლოს ხდება პერსონალის შეფასება დადგენილი ინდიკატორების მიხედვით. შეფასების შედეგები ეცნობა აკადემიურ პერსონალს. დაწესებულება ახდენს პეროსნალის საჭიროების იდენტიფიკაციას, რის საფუძველზეც ხდება ღონისძიებების დაგეგმვა.

სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ხარისხის მართვის დეპარტამენტი უნივერსიტეტში ყოველწლიურად ატარებს ტრენინგს სწავლების თანამედროვე მეთოდების გაცნობის მიზნით. გასაუბრებიდან დგინდება, რომ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტრენინგი „ხარისხის კულტურის ამაღლება უნივერსიტეტში“. ამას გარდა პერსონალის პროფესიული განვიტარების მინით წინა წლებში ჩატარდა შემდეგი ტრენინგები: „აქტიური სწავლება როგორც სწავლების თანამედროვე მეთოდი“, „ლიდერშიფი ყველასათვის.

უსდ-ში ტარდება საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციები, რომელშიც მონაწილეობას იღებს აკადემიური/მოწვეული პერსონალი.

კვლევის პოტენციალის გაძლიერების მიზნით დაფუძნდა „ალტე უნივერსიტეტის ფონდი“, რომლის მიზანია როგორც სტუდენტების სწავლის დაფინანსება, ასევე აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის ამაღლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სამეცნიერო აქტივობები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

შპს ალტე უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა თანამედროვეა. მასში შექმნილია პროგრამის შედეგების მიღწევისათვის შესაბამისი გარემო აუდიტორიები აღჭურვილია კომპიუტერებით და სასწავლო პროცესისათვის სხვა საჭირო ტექნიკით. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა წიგნს. ბიბლიოთეკა ღიაა სტუდენტებისათვის, ასევე პერსონალისთვის ნებისმიერ მსურველს აქვს წვდომა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებთან, კომპიუტერებთან. უნივერსიტეტში გამოყოფილია სივრცე სტუდენტების ჯგუფური მუშაობისთვის. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
2022 წლიდან საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ალტე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი გახდება შემდეგი მონაცემთა ბაზები:

Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core); e-Duke Journals Scholarly Collection (https://read.dukeupress.edu/); Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; (https://www.elgaronline.com/); Edward Elgar Publishing Journals (https://www.elgaronline.com/); European Respiratory Journal (https://erj.ersjournals.com/); IMechE Journals (https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE) ; Mathematical Sciences Publishers Journals (https://msp.org/); Open Book Publishers E-books (https://www.openbookpublishers.com/); Royal Society Journals Collection (https://royalsociety.org/journals/); SAGE Journals (https://journals.sagepub.com).
შპს ალტე უნივერსიტეტს აქვს მემორანდუმი გაფორმებული საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, რომლის საფუძველზე, ბიბლიოთეკას შესაძლებლობა აქვს

დამატებითი საინფორმაციო რესურსით მოამარაგოს მკითხველი. დაწესებულების ბიბლიოთეკის თანამშრომლები პერიოდულად ატარებენ კვლევას, რომლის მიზანია ბიბლიოთეკის მომსახურებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა. კვლევის შედეგებს იყენებენ ბიბლიოთეკის განვითარებისათვის. შპს ალტე უნივერსიტეტის შენობა აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით. პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით დაწესებულების შენობაში არსებობს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი ფართი, რომელიც განკუთვნილია პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობებისათვის რაც ემსახურება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების შენობაში არსებობს სიმულაციური ოთახები და ასევე სტარტაპ გარაჟი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ალტე უნივერსიტეტის ინფრასტრქუტურა ○ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი; ○ სამეცნიერო ელექტრონული ბაზების სრული ჩამონათვალი: https://alte.edu.ge/ka/library ; ○ ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://alte.edu.ge/ka/library ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://alte.edu.ge/ka ○ თანამშრომლობის მემორანდუმები; ○ გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

შპს ალტე უნივერსიტეტს გააჩნია ბიუჯეტი ფაკულტეტის და პროგრამის დონეზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ფაკულტეტის და პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილი იყო შემოსავლის ნაკადების წყაროები და გაწეული ხარჯები. ხარჯები ითვალისწინებდა როგორც აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, წახალისებას, ასევე პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯებს, სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ხარჯებს, სპორტულ და პროგრამის გარეთ განხორციელებული ღონისძიებების ხარჯებს, სტიპენდიებისა და შეღავათების ხარჯებს.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას გააჩნია საუნივერსიტეტო ფონდი, რომელიც შეიქმნა 2021 წელს. ფონდის მიზანია ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და საგანმანათლებლო სივრცეში კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.

ფონდში ყოველწლიურად შემოსული შემოწირულობის 30% რეზერვდება, ხოლო დარჩენილი თანხის 30% კვლევების დაფინანსებას, 70% კი სტუდენტების სწავლის დაფინანსებას ხმარდება. მიმდინარედ 9 პარტნიორის მიერ დარეზერვებულია 200 000-ზე მეტი ლარი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაკულტეტის ბიუჯეტი
- პროგრამის ბიუჯეტი
- საუნივერსიტეტო ფონდი
- გასაუბრების შედეგები
- ფონდის გამგეობის თავმჯდომარის წერილი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

• საუნივერსიტეტო ფონდი, რომლის მიზანია ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და საგანმანათლებლო სივრცეში კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

შპს ალტე უნივერსიტეტი საქმიანობის ხარისხის ამაღლებისათვის ეყრდნობა რამდენიმე მნიშვნელოვან დოკუმენტს (როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო).
აღნიშნული დოკუმენტების გათვალისწინებით, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სახელმძღვანელო დოკუმენტი „საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები“, რომელშიც თავმოყრილია და შეთავაზებულია პროგრამის განმავითარებელი ჯგუფისთვის და პროგრამის განმახორციელებელთათვის ყველა ის მეთოდური თავისებურება, რაც პროგრამის/სილბუსის შემუშავებისას არის გასათვალისწინებელი. აღნიშნული სახელმძღვანელო აქცენტს აკეთებს პროგრამის შემუშავება/განვითარების ძირითად მიმართულებებზე. აღნიშნული დოკუმენტი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების გზით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობის გეგმა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება თითოეული შედეგის მიღწევის შეფასების რეკომენდირებული პერიოდი.

უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეყრდნობა პრინციპს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე”.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, გამოიყენება სხვადასხვა ტიპის შიდა მექანიზმები, რომლეთა გამოც ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- სასწავლო პროცესის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და სერვისების შეფასება;
- საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
- ადმინისტრაციის/დამხმარე პერსონალის საქმიანობა და თვითშეფასების მექანიზმები;
- სტუდენტთა, აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის და ადმინისტრაციის
- კმაყოფილების კვლევა;
- სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება და ანალიზი;
- მართვის ეფექტიანობის შეფასება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების ეფექტიანობა;
- ეთიკური და ქცევის ნორმების დაცვის წახალისების ქმედებები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მექანიზმების შემუშავება და ანალიზი;
- SWOT ანალიზი;
- პროგრამის შეფასება სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულის,
- დამსაქმებლის, გარე და შიდა საექსპერტო შეფასება და სხვა;
- სასწავლო კურსის შეფასება;

ციკლის მიხედვით, არსებული მექანიზმების გამოყენება ხდება შემდგგვარად:

I. დაგეგმე - საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები არიან ჩართულნი. პროგრამის გასაუმჯობესებლად ხარისხის მართვის დეპარტამენტი გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს, განსაზღვრავს შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს.
გამოიკვეთა პროგრამაში ჩართული პერსონალის თანამშრომლობა ხარისხის მართვის დეპარტამენტთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

II. განახორციელე - პროგრამის შეფასების პროცედურებიდან გამომდინარე დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვისთვის განსაზღვრულია შესაბამისი პერიოდულობა. აღნიშნული საკითხის დასაზუსტებლად უსდ-ს მხრიდან წარმოდეგნილი იყო შესაბამისი გამოკითხვები და მათი ანალიზი. ინსტიტუცია აქტიურად იყენებს როგორც პირდაპირი, ასევე არაპრიდაპირ შეფასების მეთოდებს. არაპირდაპირ შეფასებად უნივერსიტეტში ასევე გამოყენებულია ყოველწლიური სტატისტიკა კურსდამთავრებულთა დასაქმების და მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მაჩვენებელების მიხედვით.
III. შეამოწმე - სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ხდება საგანმანათლებლო პროგრამისა და პროგრამაში შემავალი ყველა კომპონენტის პერიოდული მონიტორინგი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწმდება არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსები/კომპონენტები, არამედ სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობა, მატერიალურ- ტექნიკური ბაზა, საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

შეფასებებისთვის შემუშავებული შესაბამისი კითხვარები საშუალებას აძლევს სტუდენტებს, თავიანთი მოსაზრება დააფიქსირონ როგორც სასწავლო პროცესის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური, მატერიალური რესურსის შესახებ, ანონიმურობის სრული დაცვით.
უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხვის ფორმები არის გადასახედი. უნდა მოხდეს მათი განახლება და საჭიროებებზე მორგება. გამოიკვეთა ისეთი ანკეტა-კითხვარი, რომელიც რელევანტური არ არის ამჟამად და უნივერსიტეტი არ იყენებს კონკრეტული ინფორმაციის დასადგენად და შესაფასებლად. გარდა ამისა, ბევრ ანკეტა-კითხვარში გამოიკვეთა დასაზუსტებელი ინფორმაციის გადაფარვა და შესაძლოა მათი ერთ გამოკითხვის ფორმაში მოქცევა.
მოქმედი კითხვარებით გაჭირდება ვალიდური ინფორმაციის შეგროვება და შემდგომი რეაგირებისთვის საჭირო საკითხებს დაიდენტიფიცირება.

როგორც უნივერსიტეტის მხრიდან აღინიშნა აქტიურად მიმდინარეობს კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია - ANOVA-სთან გამოკითხვის ფორმების გადასამუშავებლად თანამშრომლობის პროცესი. უნივერსიტეტის მიერ, განსაზღვრული საჭიროებებიდან გამომდინარე, იგეგმება ANOVA-ს მიერ კითხვარებს პროფესიულად ჩამოაყალიბება (დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გაზიარებით). კითხვარების შემუშავებამდე ANOVA-ს წარმომადგენლები მოახდენენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების, სტუდენტების, აკადემიური პერსონალის გამოკითხვას, შეხვდებიან

სტუდენტთა ჯგუფებს, სხვა დაინტერესებულ მხარეებს (საჭიროების შემთხვევაში) და შეგროვილი ინფორმაციის გათვალისწინებით, შეადგენენ კითხვარებს.

რადგანაც უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით, ამიტომაც გამოკვეთილი გარემოება ცალკე რეკომენდაციის სახით არ გაიწერა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან.

საგანმანათლებლო პროგრამის ჯეროვნად განხორციელების მიზნით, ხარისხის მართვის დეპარტამენტი ახდენს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, რის საფუძველზეც შეიმუშავებს და პერსონალის გააცნობს რეკომენდაციებს. ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, იმავე სემესტრში ხდება პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვაზე განმეორებითი დაკვირვება.

გარე კოლეგიალური შეფასება კი ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ. გარდა ამისა, ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასებაც, რომელიც ხდება თანამონაწილეობითი და მასში მონაწილეობს: აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები (არაპირდაპირი გზით), ადმინისტრაციული პერსონალი.

IV. განავითარე - ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას და შემდგომ რეაგირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ ხდება მონაცემთა გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისა და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა.

პროგრამაში ჩართული პერსონალი პრაგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს.

ინტერვიუების პროცესშიც გამოიკვეთა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. გარდა ამისა, ხარისხის მართვის დეპარტამენტი, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად ზრუნავდა თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დისტანციური სწავლებისას უსდ-მ შეიმუშავა ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელსაც აქტიურად იყენებს ელ. სწავლების პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები

- ხარისხის მართვის დეპარტამენტის ანგარიში და რეკომენდაციები
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი
- თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესი
- ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
- სახელმძღვანელო„ საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები“
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გამოკითხვის ფორმების განახლება და საჭიროებებზე მორგება და ერთ გამოკითხვის ფორმაში მოქცევა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს ალტე უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. დოკუმენტების გაცნობისა და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ გარე შემფასებელთა (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა 2012 წლის შეფასება) გარკვეული მოსაზრებები აისახა პროგრამის განვითარების კუთხით. 2012 წელს გაცემულ რეკომენდაციათაგან, რელევანტური აღმოჩნდა, პროგრამის ფინანსურ გეგმასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები. შესაბამისად, პროგრამის გუნდის მხრიდან აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებული იყო პროგრამის განახლებაზე მუშაობისას. განხორციელდა გარე (უცხოელი პროფესორის მიერ) და შიდა (ადგილობრივი დარგის პროფესორის/პრაქტიკოსის მიერ) კოლეგიალური შეფასება. არცერთი შემფასებელი არ იყო შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი, არ წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს და გააჩნდათ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები. რაც შეეხება გარე კოლეგიალურ შეფასებას, ის სამ წელიწადში ერთხელ ტარდება. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემობას, რომ, როგორც გარე, ასევე შიდა შემფასებელი აღნიშნავს, რომ პროგრამა არის აქტუალური, საინტერესო და წარმოდგენილი სასწავლო კურსები პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს. გაკეთებული აქცენტი მხოლოდ სასწავლო კურსების დასახელებების ფორმირებასთან დაკავშირებით. ნაკლებად არის გათვსლისწინებული ერთ-ერთი შემფასებლის რეკომენდაციები პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. არცერთ შეფასებაში არ გვხვდება როგორც დადებითი, ისე გამოსასწორებელი მხარეების მოკლე დასაბუთება. შემფასებელთა მხრიდან მიღებული გამოხმაურებები განხილული იქნა პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ, მოსაზრებები წარედგინა სკოლის საბჭოს და პროგრამის განმავითარებელ ჯგუფს. გარე და შიდა შეფასების რელევანტურობა წარმოშობს კითხვებს, ვინაიდან სრულად ვერ უზრუნველყოფს ნაკლოვანი და გასაუმჯობესებელი კომპონენტების იდენტიფიცირებას. გამოხმაურებები არის ზედაპირული, ზოგადი და შესაბამისად ნათელ სურათს პროგრამის შეფასების ნაწილში არ გვაძლევს. სასურველია, გარე და შიდა შეფასებებით მოხდეს ნაკლოვანი და გასაუმჯობესებელი კომპონენტების იდენტიფიცირება. გამოხმაურებები უნდა იყოს უფრო დეტალური, სიღრმისეული და გვაძლევდეს ნათელ სურათს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა ○ შიდა და გარე შეფასების დოკუმენტი ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები ○
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გარე და შიდა შეფასებებით მოხდეს ნაკლოვანი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება. გამოხმაურებები უნდა იყოს უფრო დეტალური, სიღრმისეული და გვაძლევდეს ნათელ სურათს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

შპს ალტე უნივერსიტეტის პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით.

პროგრამის მონიტორნიგის და პერიოდული შეფასებებისათვის, გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარები.

როგორ 5.1 სტანდარტში აღინიშნა, გამოკითხვის ფორმები არის გადასახედი. უნდა მოხდეს

მათი განახლება და საჭიროებებზე მორგება. გამოიკვეთა ისეთი ანკეტა-კითხვარი, რომელიც რელევანტური არ არის ამჟამად და უნივერსიტეტი არ იყენებს კონკრეტული ინფორმაციის დასადგენად და შესაფასებლად. გარდა ამისა, ბევრ ანკეტა-კითხვარში გამოიკვეთა დასაზუსტებელი ინფორმაციის გადაფარავდა და შესაძლოა მათი ერთ გამოკითხვის ფორმაში მოქცევა.

მოქმედი კითხვარებით გაჭირდება ვალიდური ინფორმაციის შეგროვება და შემდგომი რეაგირებისთვის საჭირო საკითხებს დაიდენტიფიცირება.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ხდება მხოლოდ სტუდენტთა მიერ, რაც ვფიქრობთ არ არის საკმარისი. სასურველია მოხდეს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება სხვადასხვა რგოლის მიერ (დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯრე და ა.შ).

აუცილებელია უნივერსიტეტის მხრიდან უფრო დიდი ყურადღება დაეთმოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურებს. აღნიშნული დაიწეროს ერთიან დოკუმენტად, სადაც განისაზღვრება პერსონალის პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები.

პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და პროფესიული განვითარების შეფასება ხელს შეუწყობს სამეცნიერო-სასწავლო საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდას, პერსონალის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებას, შემოქმედებითი ინიციატივის გაღვივებას, რაც, ბუნებრივია, მიმართული იქნება უნივერსიტეტის განვითარებისა და ხარისხის ამაღლებაზე.

შესაბამისად, მხოლოდ ანკეტირებითა და გამოკითხვის შედეგებით, ასევე ყოველწლიურად განახლებული CV-ების წარმოდგენით არ უნდა შემოიფარგლოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება.

წარმოდგენილ დოკუმენტებზე და გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლოა დაწესდეს მათთვის წამახალისებელი აქტივობებიც (თუნდაც ფულადი ჯილდოს სახით).

უნივერსიტეტი ახდენს დამსაქმებელთა გამოკითხვას, რომლის მიზანია პროგრამის შინაარსში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და პროგრამის გაუმჯობესება, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. დამსაქმებელთა მოსაზრებების გათვალისწინება ხდება ანკეტირების გზით და ასევე, პროგრამის კომიტეტში მათი ჩართულობით. ამასთანავე, ალტე უნივერსიტეტი თანამშრომლობს კვლევით და საკონსულტაციო კომპანია - ANOVA-სთან პროგრამების მიხედვით, შრომის ბაზრის კვლევისა და შიდა გამოკითხვების ნაწილში.

კვლევაში შესწავლილი იყო დამსაქმებლის მოთხოვნები, თუ რა ტიპის კადრი არის მათთვის სასურველი, თუმცა ნაკლებად იკვეთებოდა ის, თუ როგორია ბაზარზე მოთხოვნა პროფესიული კუთხით. არ იყო შესწავლილი დასაქმების საიტები და ის თუ რა სიხშირითა და ოდენობით იდება ვაკანსიები ამ სფეროში დასაქმების მსურველთათვის. ასაქმების ეტაპები იყო ცალკეულად განხილული, თუმცა მოთხოვნა ბაზარზე არ იყო

დაიდენტიფიცირებული.

სასურველია, შრომის ბაზრის კვლევისას გამოიკვეთოს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა აღნიშნული კუთხით დასაქმების თაობაზე.

უნივერსიტეტში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი, რაც გულისხმობს სალექციო/პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრებას სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნების, სწავლა/სწავლების მეთოდების, შეფასების, წაკითხული თემატიკის ადეკვატურობის დადგენის მიზნით; შესაბამისი დასკვნების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის მართვის დეპარტამენტი გეგმავს ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების ჩატარებას. აღნიშნული პროცესის მტკიცებულებად წარმოდგენილი იყო შესაბამისი დოკუმენტაცია.

პერიოდულად სტუდენტთა მხრიდან ხდება იმ სასწავლო კურსებს შეფასება, რომლებსაც მოცემულ სემესტრში გადიან. თითოეულ ლექტორს ეგზავნება შეფასების შედეგები.

აღნიშნული გამოკითხვით ხდება არა მარტო კურსის შინაარსის შესახებ ინფორმაციის მიღება, არამედ რესურსების და სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ მოსაზრებების დაფიქსირება. მონაცემთა შეგროვების შემდეგ ხდება ინფორმაციის დახარისხება და გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, სილაბუსის მოდიფიცირება. შეფასებას ასევე ექვემდებარება კურსის განმახორციელებლის კვალიფიკაცია, დისციპლინა და სხვა.

რეკომენდებულია, სტუდენტთა მიერ სასწავლო პროცესის შეფასებისას, მოხდეს პროფესორ- მასწავლებლებისა და სასწავლო კურსის ცალ-ცალკე შეფასება.

უნივერსიტეტში ჩატარებული სხვადასხვა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, ყალიბდება რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად. ფასდება საგანმანთლებლო პროგრამები და სხვა რესურსები, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლების ხარისხზე. შეფასების შეგროვების და ანალიზის შემდეგ ხარისხის მართვის დეპარტამენტი აყალიბებს რეკომენდაციებს, რომელიც წარდგენაც ხდება შემდგომი რეაგირებისათვის. ამის შემდეგ უკვე კეთდება განხორციელებული ცვლილებების ანგარიში, აღმოიფხვრა თუ არა ის ხარვეზები, რაც არსებობდა, განხორციელდა თუ არა რეკომენდაციები, პროგრამების თუ რესურსების განვითარების კუთხით დასმული ამოცანები შესრულდა თუ არა და სხვა.

უნდა ითქვას ისიც, რომ უნივერსიტეტი გარკვეული პერიოდულობით ახდენს უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარებას, თუმცა არ იყო წარმოდგენილი ცალკე ე. წ. „ბენჩმარკინგის“ დოკუმენტი, რაც გულისხმობს პროგრამის დადარებას როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

აკრედიტაციის 5.3. სტანდარტი, რომელიც მოიცავს პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას, პირდაპირ მიუთითებს, რომ პერიოდულად უნდა ხდებოდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იქნეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. უნივერსიტეტის მხრიდან იყო წარმოდგენილი ერთგვარი ცხრილი ანალოგიურ პროგრამებთან მსგავსების, თუმცა არ იყო გაკეთებული ანალიზი და არც ის, თუ რა საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება მოხდა მათი

მხრიდან, აღნიშნულ პროგრამაზე მუშაობისას.

შესაბამისად, სასურველია პერიოდულად განხორციელებული პროგრამის დადარება ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და წარმოდგენილი იყოს დამოუკიდებელი, ანალიზზე დაყრდნობით შედგენილი ანგარიშის სახით.

გარდა ამისა როგორც 2.3 კომპონენტში აღვნიშნეთ საბაკალავრო ნაშრომების შემოწმებისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოება, კერძოდ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის მიხედვით საბაკალავრო ნაშრომის მიზანია კვლევის უნარების განვითარება. საბაკალავრო ნაშრომების შემოწმების შედეგად ვლინდება, რომ აღნიშნული სილაბუსი ნაკლებად ემსახურება საბაკალავრო ნაშრომის მიზნის მიღწევას და საბაკალავრო ნაშრომის შესრულების მინიმალურ სტანდარტებს. გამომდინარე აქედან ვფიქრობთ, რომ უნდა დაიხვეწოს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი სადაც მკაფიოდ იქნება გამოკვეთილი კვლევის განხორციელების პროცესი ბაკალავრიატის დონეზე და შესრულდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ლექციაზე დაკვირვების ფორმა
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია უნივერსიტეტის მხრიდან უფრო დიდი ყურადღება დაეთმოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურებს. აღნიშნული დაიწეროს ერთიან დოკუმენტად, სადაც განისაზღვრება პერსონალის პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები;
- რეკომენდებულია, სტუდენტთა მიერ სასწავლო პროცესის შეფასებისას, მოხდეს პროფესორ- მასწავლებლებისა და სასწავლო კურსის ცალ-ცალკე შეფასება
- რეკომენდირებულია საბაკლავრო ნაშრომების შესრულებაზე მონიტორინგის გაძლიერება მინიმალური სტანდარტების შესრულების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შრომის ბაზრის კვლევისას გამოიკვეთოს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა აღნიშნული კუთხით დასაქმების თაობაზე
- სასურველია პერიოდულად განხორციელებული პროგრამის დადარება ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და წარმოდგენილი იყოს დამოუკიდებელი, ანალიზზე დაყრდნობით შედგენილი

ანგარიშის სახით
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს ალტე უნივერსიტეტი,

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 44

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

დავით სიხარულიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ეკა დევიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო პატარაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მარიამ გორგოძე